სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი
Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА“ на грузинском языке

№ 104 (218) | კვირა, 24 სექტემბერი | 1944 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ გოვოროვს

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა სწრაფი შეტევის შედეგად დღეს, 22 სექტემბერს, ბრძოლით დაიკავეს ესტონეთის სსრ დედაქალაქი ტალინი (რეველი) — დიდმნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა და დიდი ნავსადგური ბალტიის ზღვაზე.

ქალაქ ტალინის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ სტარიკოვის, გენერალ-ლეიტენანტ ფედიუნინსკის, გენერალ-მაიორ ტრუბაჩევის, გენერალ-ლეიტენანტ პერნის ესტონელთა კორპუსის, გენერალ-ლეიტენანტ სიმონიაკის, გენერალ-მაიორ იასტრებოვის, პოლკოვნიკ ზინოვიევის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ოდინცოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ პოჩიტალინის, არტილერიის გენერალ-მაიორ კაზაკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ კოზნოვის, პოლკოვნიკ პეტროვის, პოლკოვნიკ არუს, პოლკოვნიკ ტოლკუშევის, პოლკოვნიკ სკოროგოგატოვის, პოლკოვნიკ ალფეროვის, პოდპოლკოვნიკ შულიაევის, პოდპოლკოვნიკ ხრუშჩის, პოდპოლკოვნიკ პოპოვის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბარანოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ზაზიმკოს, პოლკოვნიკ კოვალევსკის, პოდპოლკოვნიკ საენკოვის, პოდპოლკოვნიკ კარტაშევის, მაიორ ჩორნიჩის, მაიორ კუზნეცოვის, პოდპოლკოვნიკ გრიცევის, პოდპოლკოვნიკ კუზინის, პოდპოლკოვნიკ კუსლაკუს, პოდპოლკოვნიკ ჩესნოკოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ რიბალჩენკოს, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სამოხინის, ავიაციის გენერალ-მაიორ ანდრეევის, ავიაციის გენერალ-მაიორ ანტონოვის, პოლკოვნიკ მატვეევის, პოლკოვნიკ ხატმინსკის, პოლკოვნიკ გრესკოვის, პოლკოვნიკ კუროჩკინის, პოლკოვნიკ მონეტოსოვის, პოლკოვნიკ ჩელნოკოვის, პოდპოლკოვნიკ მეხანიკოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბიჩევსკის, პოლკოვნიკ აკატოვის, პოდპოლკოვნიკ აფანასიევის, მაიორ ჩარცოვის, მაიორ ფომენკოს, მაიორ მორონოვის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კოვალიოვის, პოლკოვნიკ მუშევის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ტალინის დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ტალინის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 22 სექტემბერს, 23 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით სამას ოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ლენინგრადის ფრონტის მამაც ჯარებს, მათ შორის გენერალ-ლეიტენანტ პერნის ესტონელთა კორპუსს, რომლებმაც დაიკავეს საბჭოთა ესტონეთის დედაქალაქი ტალინი.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ ტალინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 22 სექტემბერი.

მარშალმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი კერი და ამერიკის ელჩი ბ-ნი ჰარიმანი

23 სექტემბერს მარშალმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი კერი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ჰარიმანი.

ელჩებმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ რუზველტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ჩერჩილის დავალებით, ინფორმაცია გაუკეთეს ამხანაგ სტალინს ქ. კვებეკში შემდგარ კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

საუბარს დაესწრო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მოლოტოვი.

უფროს ლეიტენანტ ვახტანგ ვლადიმერის-ძე ჩიქოვანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით უფროს ლეიტენანტ ვახტანგ ვლადიმერის-ძე ჩიქოვანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

საჰაერო ბრძოლის ოსტატები

დიდი სიხარულით და ზეიმით შეხვდა საჰაერო ბრძოლის ოფიცერთა უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა ფრონტიდან დაბრუნებულ თავის ამხანაგებს—მფრინავ-ინსტრუქტორებსა და რგოლების მეთაურებს. საბრძოლო სტაჟის ვადის ერთი თვის მანძილზე თოთხმეტი კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა მოსპო ფაშისტთა 21 თვითმფრინავი. მფრინავ-ინსტრუქტორებმა პავლე ციხელაშვილმა, თედორე ბურცევმა და ვლადიმერ ბიბიკმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს მტრის 12 მანქანა.

მფრინავ ინსტრუქტორთა საბრძოლო სტაჟირებამ გაამდიდრა მათი გამოცდილება. ახლა ისინი კვლავ შეუდგნენ თავიანთ ძირითად სამუშაოს—საჰაერო ბრძოლების ოსტატთა მომზადებას.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ გოვოროვს

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებენ, დღეს, 23 სექტემბერს, დაიკავეს ქალაქი პიარნუ (პერნოვი) — დიდმნიშვნელოვანი ნავსადგური რიგის ყურეში.

ქალაქ პიარნუს დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ფედიუნინსკის, გენერალ-ლეიტენანტ პოლენოვის, გენერალ-მაიორ ლიაშჩენკოს, გენერალ-მაიორ ბორშჩევის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ოდინცოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ კაზაკოვის, პოლკოვნიკ ვორონიჩის, პოლკოვნიკ ნოვოჟილოვის, პოდპოლკოვნიკ ბალსინის, მაიორ ზაგორსკის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბარანოვის, პოლკოვნიკ პროცენკოს, პოდპოლკოვნიკ ლომოვის, პოდპოლკოვნიკ მედვედევის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ რიბალჩენკოს, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სამოხინის, ავიაციის გენერალ-მაიორ ანდრეევის, პოლკოვნიკ მატვეევის, პოლკოვნიკ ხატმინსკის, პოლკოვნიკ გრესკოვის, პოდპოლკოვნიკ მეხანიკოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბიჩევსკის, პოლკოვნიკ ცვანგერის, მაიორ ონაშჩენკოს, მაიორ შესტაკოვის, მაიორ ჟბუნის, კაპიტან აბდულოვის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კოვალიოვის, პოლკოვნიკ ბახილინის, პოლკოვნიკ გოლევის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ პიარნუს (პერნოვის) დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „პერნოვის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 23 სექტემბერს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ლენინგრადის ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი პიარნუ.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ პიარნუს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში.

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 23 სექტემბერი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
23 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებენ, 23 სექტემბერს დაიკავეს დიდმნიშვნელოვანი ნავსადგური რიგის ყურეში—ქალაქი პიარნუ (პერნოვი) და გზატკეცილების დიდი კვანძი ესტონეთის სამხრეთ ნაწილში—ქალაქი და რკინიგზის სადგური ვილიანდი, აგრეთვე დაიკავეს 700-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი ტიური, ვახასტუ, კიადვა, ლელე, კიარუ, კიარევერე, ვანა-ვიანდრა, ვიხმა, რეზულდი და რკინიგზის სადგურები ლელე, კიარუ, ოპლივა, ვიხმა.

ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დაიკავეს ქალაქი ვალმიერა, აგრეთვე დაიკავეს 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის კიარსტნა, მიაიკიუვა, სურესილმა, ჩუმპი, რენცენი, იაუნიერცენი და რკინიგზის სადგური პიკსარი საულე.

ქალაქ რიგის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა, შეტევითი ბრძოლების შედეგად, დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ბაუი, ბუტლერი, ლიუტენი, ვირტი, მუშტესი, მენდელე, კოაკნესე და რკინიგზის სადგურები რანკა, როპლაინი, ბალტავა, კოაკნესე.

ფრონტის სხვა უბნებზე მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

22 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაამხვეს და მოსპეს გერმანელთა 57 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 29 თვითმფრინავი.

* *

ჩვენი ავიაციის თავდასხმები ნავსადგურ რიგასა და ნავსადგურ პიარნუზე (პერნოვი)

22 სექტემბერს ღამით ჩვენი შორი მოქმედების ავიაცია თავს დაესხა ნავსადგურ რიგასა და ნავსადგურ პიარნუს (პერნოვი).

დაბომბვის შედეგად ნავსადგურ რიგაში გაჩნდა 20-მდე ხანძარი, იწვოდა გერმანელთა სამხედრო საწყობები. საექსპორტო ნავსადგურის რაიონში და რკინიგზის სადგურზე სანაპირო თვალთვალით შემჩნეული იყო ძლიერი აფეთქებანი.

ნავსადგურ პიარნუში ბომბების აფეთქება შემჩნეულ იქნა ნავმისადგომელებთან მდგომ გერმანელთა გემებს შორის. გაჩნდა რამდენიმე ხანძარი, რომელთაგან ერთს თან ახლდა ძლიერი ძალის აფეთქება. დიდი ხანძრები შემჩნეული იყო აგრეთვე მოწინააღმდეგის ეშელონებს შორის რკინიგზის სადგურზე.

* *

ჩვენი საზღვაო ავიაციის დარტყმები გერმანელთა ტრანსპორტებზე

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ავიაცია 22 სექტემბერს დღისით დიდი ძალებით ესხმოდა მოწინააღმდეგის ხომალდებს, რომლებიც ნავსადგურ ტალინიდან (რეველი) მიდიოდნენ. ჩვენი თვითმფრინავები ტრანსპორტებს, რომლებზეც გერმანელთა ჯარები იყვნენ, დაეწიენ ფინეთის ყურეში და ბალტიის ზღვაზე. ჩვენმა საზღვაო მფრინავებმა საბომბო-საიერიშო და საბომბო-სატორპედო დარტყმებით დღის განმავლობაში გერმანელთა 11 ტრანსპორტი ჩაძირეს. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის სამი ტრანსპორტი და ერთი ტრალერი სერიოზულად დააზიანეს.

* *

ლენინგრადის ფრონტის ჯარები წარმატებით შეტევას განაგრძობდნენ. ჩვენმა ჯარებმა მოახდინეს 80-კილომეტრიანი გადასვლა, თავიანთ გზაზე გაანადგურეს მოწინააღმდეგის რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი და შეიჭრნენ ქალაქ პიარნუში — რიგის ყურის დიდ ნავსადგურში. ბრძოლის შედეგად ქალაქი პიარნუ (პერნოვი) განთავისუფლებულია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

ჩვენი ქვეითები და ტანკისტები განუწყვეტლივ სდევნიან და სპობენ მოწინააღმდეგის დამარცხებულ ნაწილებს. გერმანელები, რომლებიც შეალედ ზღუდეებს ებღაუჭებიან, შეეცადნენ წინააღმდეგობა მოეწყოთ. ესტონელთა კორპუსის ერთ-ერთმა ნაწილმა ბრძოლა გაუმართა მოწინააღმდეგის ჯგუფთან. ოთხი საათის ბრძოლის შედეგად საბჭოთა ქვეგანაყოფებმა გაანადგურეს გერმანელები. სხვა რაიონში საბჭოთა ოცეულმა ქვემეხებით მოწინააღმდეგის ზურგში შეაღწია და გაჟღიტა მტრის ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი. ბრძოლების სვლელობაში გერმანელთა განადგურებულ და დეზორგანიზებულ ნაწილებს მძიმე ზარალი მოსდით ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს ულიდესი დავლა, რომელშიც არის მრა-

(დასასრული მე-4 გვ.).

შეთანხმება

ერთი მხრივ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებულ სამეფოსა და, მეორე მხრივ, ფინეთს შორის, დროებითი ზავის შესახებ

იმის გამო, რომ ფინეთის მთავრობამ მიიღო საბჭოთა მთავრობის წინასწარი პირობა გერმანიასთან კავშირის გაწყვეტის და ფინეთიდან გერმანიის ჯარების გაყვანის შესახებ და, იღებენ რა მხედველობაში, რომ ზავის შესახებ მომავალი ხელშეკრულების დადებას გაადვილებს დროებითი ზავზე შეთანხმებაში ზავის შესახებ ამ ხელშეკრულების ზოგიერთი პირობის შეტანით, ერთი მხრივ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობამ, რომელნიც მოქმედებენ ფინეთთან ომის მდგომარეობაში მყოფ ყველა გაერთიანებულ ერთა სახელით, და, მეორე მხრივ, ფინეთის მთავრობამ გადასწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება დროებითი ზავის შესახებ, რის განხორციელებასაც კონტროლს გაუწევს საბჭოთა მთავარსარდლობა, რომელიც აგრეთვე მოქმედებს ფინეთთან ომის მდგომარეობაში მყოფ გაერთიანებულ ერთა სახელით და რომელსაც შემდგომში ეწოდება „მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობა".

ზემოხსენებულის საფუძველზე მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის წარმომადგენელმა გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ა. ჟდანოვმა და ფინეთის მთავრობის წარმომადგენლებმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა კარლ ენკელმა, თავდაცვის მინისტრმა ინფანტერიის გენერალმა რუდოლფ ვალდენმა, გენერალური შტაბის უფროსმა ინფანტერიის გენერალმა ერიკ ჰეინრიხსმა და გენერალ-ლეიტენანტმა ოსკარ ენკელმა, რომელთაც სათანადო რწმუნება აქვთ, ხელი მოაწერეს შემდეგ პირობებს:

1. 1944 წლის 4 სექტემბერს ფინეთის მხრივ და 1944 წლის 5 სექტემბერს საბჭოთა კავშირის მხრივ საომარი მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით ფინეთი ვალდებულებას კისრულობს გაიყვანოს თავისი ჯარები საბჭოთა კავშირ-ფინეთის 1940 წლის საზღვრის ხაზს იქით ამ შეთანხმების დანართში გათვალისწინებული წესით. (იხ. 1-ლი მუხლის დანართი).

2. ფინეთი ვალდებულებას კისრულობს განაიარაღოს გერმანიის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო შეიარაღებული ძალები, რომლებიც დარჩნენ ფინეთში 1944 წლის 15 სექტემბრის შემდეგ, და გადასცეს მათი პირადი შემადგენლობა მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობას, როგორც სამხედრო ტყვეები, რაშიც საბჭოთა მთავრობა დახმარებას გაუწევს ფინეთის არმიას.

ფინეთის მთავრობა აგრეთვე ვალდებულებას კისრულობს მოახდინოს მის ტერიტორიაზე მყოფ გერმანელ და უნგრელ მოქალაქეთა ინტერნირება. (იხ. მე-2 მუხლის დანართი).

3. ფინეთი ვალდებულებას კისრულობს გადასცეს მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის მოთხოვნით აეროდრომები ფინეთის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე მთელი მოწყობილობით საბჭოთა თვითმფრინავების ბაზირებისათვის იმ დროის განმავლობაში, რაც საჭიროა ესტონეთში მყოფ გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ და ბალტიის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში მყოფ გერმანელთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის წინააღმდეგ სამხედრო-საჰაერო ოპერაციების საწარმოებლად. (იხ. მე-3 მუხლის დანართი).

4. ფინეთი ვალდებულებას კისრულობს მშვიდობიანი დროის მდგომარეობაზე გადაიყვანოს თავისი არმია ამ შეთანხმების ხელმოწერის დღიდან ორთვენახევრის განმავლობაში. (იხ. მე-4 მუხლის დანართი).

5. ფინეთი, რომელმაც ყოველგვარი ურთიერთობა გასწყვიტა გერმანიასთან, აგრეთვე ვალდებულებას კისრულობს ყოველგვარი ურთიერთობა გასწყვიტოს გერმანიის სატელიტ სახელმწიფოებთან. (იხ. მე-5 მუხლის დანართი).

6. საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის 1940 წლის 12 მარტს მოსკოვში დადებული საზავო ხელშეკრულების მოქმედება აღდგენილია ამ შეთანხმებიდან გამომდინარე ცვლილებებით.

7. ფინეთი უბრუნებს საბჭოთა კავშირს პეტსამოს (პეჩენგის) ოლქს, რომელიც საბჭოთა სახელმწიფომ ნებაყოფლობით დაუთმო ფინეთს 1920 წლის 14 ოქტომბრის და 1940 წლის 12 მარტის საზავო ხელშეკრულებებით, იმ საზღვრებში, რაც აწერილია ამ შეთანხმების დანართში და ნაჩვენებია რუკაზე. (იხ. მე-7 მუხლის დანართი და 1:500.000 მასშტაბის რუკა).

8. საბჭოთა კავშირი უარს ამბობს თავის უფლებაზე ჰანკოს იჯარით აღების შესახებ, რაც მას მიენიჭა საბჭოთა კავშირ-ფინეთის 1940 წლის 12 მარტის საზავო ხელშეკრულებით, ხოლო ფინეთი თავის მხრივ ვალდებულებას კისრულობს გადასცეს საბჭოთა კავშირს იჯარის უფლებებით ტერიტორია და წყლის სივრცეები საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზის შესაქმნელად პორკალა-უდის რაიონში.

პორკალა-უდის ბაზის ტერიტორიისა და აკვატორიის ფარგლები განისაზღვრება ამ მუხლის დანართით და ნაჩვენებია რუკაზე. (იხ. მე-8 მუხლის დანართი და 1:100.000 მასშტაბის რუკა).

9. საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის 1940 წლის 11 ოქტომბერს ალანდის კუნძულების შესახებ დადებული შეთანხმების მოქმედება სავსებით აღდგენილია.

10. ფინეთი ვალდებულებას კისრულობს დაუყოვნებლივ გადასცეს მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობას მის ხელში მყოფი ყველა საბჭოთა და მოკავშირეთა სამხედრო ტყვე, აგრეთვე ინტერნირებული და ფინეთში ძალით წაყვანილი საბჭოთა და მოკავშირეთა მოქალაქენი სამშობლოში მათ დასაბრუნებლად.

ამ შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან და რეპატრიაციამდე ფინეთი ვალდებულებას კისრულობს თავისი ხარჯით უზრუნველყოს ყველა საბჭოთა და მოკავშირეთა სამხედრო ტყვე, აგრეთვე ძალით წაყვანილი და ინტერნირებული მოქალაქენი საკმაო კვებით, ტანსაცმლით, სამედიცინო მომსახურებით სანიტარულ მოთხოვნათა შესაბამისად, აგრეთვე ტრანსპორტის საშუალებებით სამშობლოში მათ დასაბრუნებლად.

ამავე დროს ფინეთს გადაეცემიან მოკავშირე სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მყოფი ფინელი სამხედრო ტყვეები და ინტერნირებული პირები.

11. ფინეთი ვალდებულებას კისრულობს აუნაზღაუროს საბჭოთა კავშირს ზარალი, რომელიც ფინეთმა საბჭოთა კავშირს მიაყენა საომარი მოქმედებით და საბჭოთა ტერიტორიის ოკუპაციით, სამასი მილიონი დოლარის რაოდენობით, რაც დაფარულ იქნება ექვსი წლის განმავლობაში საქონლით (ხე-ტყის მასალა, ქაღალდი, ცელულოზი, საზღვაო და სამდინარო გემები, სხვადასხვა სამანქანო მოწყობილობა).

გათვალისწინებულ იქნება აგრეთვე შემდგომში ფინეთის მიერ ანაზღაურება იმ ზარალისა, რაც ომის დროს მიყენებული აქვს სხვა მოკავშირე სახელმწიფოთა და მათ ქვეშევრდომთა საკუთრებას ფინეთში, ამასთან კომპენსაციის ოდენობა დადგენილ უნდა იქნას ცალკე. (იხ. მე-11 მუხლის დანართი).

12. ფინეთი ვალდებულებას კისრულობს აღადგინოს გაერთიანებულ ერებისა და მათი მოქალაქეების მთელი კანონიერი უფლებანი და ინტერესები ფინეთის ტერიტორიაზე, როგორც ისინი არსებობდნენ ომის წინ, აგრეთვე სავსებით დაუზიანებლად დაუბრუნოს მათი საკუთრება.

13. ფინეთი ვალდებულებას კისრულობს ითანამშრომლოს მოკავშირე სახელმწიფოებთან იმ პირთა შეპყრობის საქმეში, რომელთაც სამხედრო დანაშაულობანი ბრალდებათ, და მათს გასამართლებაში.

14. ფინეთი ვალდებულებას კისრულობს მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის მიერ ნაჩვენებ ვადებში სავსებით დაუზიანებლად დაუბრუნოს საბჭოთა კავშირს საბჭოთა ტერიტორიიდან ომის დროს ფინეთში გაზიდული მთელი ფასეულობანი და მასალები, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერატიულ ორგანიზაციებს, საწარმოებს, დაწესებულებებს ან ცალკეულ მოქალაქეებს, სახელდობრ: ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობა, ორთქლმავლები, რკინიგზის ვაგონები, გემები, ტრაქტორები, ავტომანქანები, ისტორიული ძეგლები, სამუზეუმო ფასეულობანი და ყოველივე სხვა ქონება.

15. ფინეთი ვალდებულებას კისრულობს მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის განკარგულებაში გადასცეს, როგორც ნადავლი, გერმანიისა და მისი სატელიტების მთელი ის სამხედრო ქონება, რაც ფინეთის ტერიტორიაზეა, მათ შორის ამ ქვეყნების კუთვნილი და ფინეთის წყლებში მყოფი სამხედრო და სხვა გემები.

16. ფინეთი ვალდებულებას კისრულობს არ დაუშვას მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის ნებადაურთველად გაზიდვა ან ექსპროპრიაცია რაიმე ქონებისა (ფასეულობათა და ვალუტის ჩათვლით), რაც ეკუთვნის გერმანიასა და უნგრეთს ან მათს მოქალაქეებს, ანდა მათს ტერიტორიებზე ან მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთ.

17. ფინეთის სავაჭრო გემებზე, გარდა იმ გემებისა, რომლებიც უკვე იმყოფებიან მოკავშირეთა კონტროლქვეშ, უნდა დაწესდეს მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის კონტროლი მოკავშირეთა საერთო ინტერესებისათვის მათი გამოყენების მიზნით.

18. ფინეთი ვალდებულებას კისრულობს მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობას გადასცეს გაერთიანებული ერების კუთვნილი და ფინეთის ნავსადგურებში მყოფი ყველა გემი, მიუხედავად იმისა, თუ ვის განკარგულებაში არის ეს გემები, რათა მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობამ გერმანიის წინააღმდეგ ომის განმავლობაში გამოიყენოს ეს გემები მოკავშირეთა საერთო ინტერესებისათვის, ხოლო შემდეგ ეს გემები დაუბრუნდება მათს მესაკუთრეებს.

19. ფინეთი მიაწოდებს ისეთ მასალებსა და პროდუქციას, რომლებიც შეიძლება მოითხოვონ გაერთიანებულმა ერებმა ომთან დაკავშირებული მიზნებისათვის.

20. ფინეთი ვალდებულებას კისრულობს დაუყოვნებლივ განათავისუფლოს, განურჩევლად მოქალაქეობისა და ეროვნული კუთვნილებისა, ყველა ის პირნი, რომელნიც დაპატიმრებული არიან გაერთიანებულ ერთა სასარგებლოდ მათ მოქმედებასთან დაკავშირებით ან გაერთიანებულ ერთა საქმისადმი მათი თანაგრძნობისათვის, ანდა მათი რასიული წარმოშობის გამო, აგრეთვე გააუქმოს ყოველგვარი დისკრიმინაციული კანონმდებლობა და იქიდან გამომდინარე შეზღუდვანი.

21. ფინეთი ვალდებულებას კისრულობს დაუყოვნებლივ დაშალოს მის ტერიტორიაზე არსებული ყველა პროჰიტლერული (ფაშისტური ტიპისა) პოლიტიკური, სამხედრო, გასამხედროებული, აგრეთვე სხვა ორგანიზაციები, რომელნიც ეწევიან გაერთიანებული ერებისადმი, კერძოდ საბჭოთა კავშირისადმი მტრულ პროპაგანდას, და მომავალში არ დაუშვას ამგვარი ორგანიზაციების არსებობა.

22. დაარსდება მოკავშირეთა საკონტროლო კომისია, რომელიც ფინეთთან ზავის დადებამდე იკისრებს ამ პირობების შესრულების რეგულირებასა და კონტროლს მოკავშირე სახელმწიფოთა სახელით მოქმედი მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის საერთო ხელმძღვანელობითა და მითითებებით. (იხ. 22-ე მუხლის დანართი).

23. ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

შედგენილია მოსკოვს 1944 წლის 19 სექტემბერს ერთ ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა შესანახად სსრ კავშირის მთავრობას, რუსულ, ინგლისურ და ფინურ ენებზე, ამასთან რუსული და ინგლისური ტექსტები აუტენტურია.

ამ შეთანხმების შემოწმებულ ასლებს დანართებიანად და რუკებიანად სსრ კავშირის მთავრობა გადასცემს თვითეულ სხვა მთავრობას, რომლის სახელითაც ხელმოწერილია ეს შეთანხმება.

სსრ კავშირისა და
შეერთებული სამეფოს
მთავრობათა რწმუნებით
ა. ჟდანოვი.

ფინეთის მთავრობის რწმუნებით
კ. ენკელი.
რ. ვალდენი
ე. ჰეინრიხსი
ო. ენკელი.

დ ა ნ ა რ თ ი

„ერთი მხრივ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებულ სამეფოსა და, მეორე მხრივ, ფინეთს შორის დროებითი ზავის შესახებ შეთანხმებისა,“ რომელიც ხელმოწერილ იქნა ქ. მოსკოვში 1944 წლის 19 სექტემბერს

A. 1-ლი მუხლის დანართი

ფინეთის ჯარების გასაყვანად სსრ კავშირსა და ფინეთს შორის სახელმწიფო საზღვრის 1940 წლის 12 მარტის საზავო ხელშეკრულებით დადგენილ ხაზს იქით, იმ ცვლილებებით, რაც 1944 წლის 19 სექტემბერს დროებითი ზავის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმებიდან გამომდინარეობს, ყველა უბანზე, რომლებიც ფინეთის ჯარებს უკავიათ, მყარდება შემდეგი წესი:

1. დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან პირველი დღის განმავლობაში ფინეთის ჯარები გადაყვანილ იქნებიან ისეთ მანძილზე, რომ წითელი არმიის მეწინავე ნაწილებსა და ფინეთის ჯარებს შუა სულ მცირე ერთი კილომეტრი იყოს.

2. 48 საათის (2 დღეღამის) განმავლობაში, იმავე მომენტიდან დაწყებული, ფინეთის ჯარები თავიანთ დანაღმულ არეებში, მავთულღობურებში და სხვა დაბრკოლებებში აკეთებენ სულ მცირე 30 მეტრის სიგანის გასასვლელებს ისე, რომ გასასვლელები უზრუნველჰყოფდნენ ბატალიონის კოლონების თავისუფალ მოძრაობას მათი აღალებიანად, აგრეთვე დარჩენილ დანაღმულ არეებს შემოავლებენ მკაფიოდ დასანახ ნიშნებს.

აღნიშნული გასასვლელების გაკეთება დაბრკოლებებში და დანაღმული არეებისათვის ნიშნების შემოვლება სწარმოებს ფინეთის ჯარების უკანდახევის მთელ ტერიტორიაზე.

ფინეთის ჯარები გასასვლელებს სწმენდენ ყველა იმ გზასა და ბილიკზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან როგორც ნეიტრალურ კილომეტრიან ზოლში, ისე ამ დაბრკოლებათა მთელ სიღრმეში მოძრაობისათვის.

მეორე დღის ბოლოს ფინეთის ჯარების სარდლობა გადასცემს წითელი არმიის ჯარების სათანადო სარდლობას ყველა სახის დაბრკოლების ზუსტ სქემებს, რომლებზეც აღნიშნული იქნება ფინეთის ჯარების მიერ გაკეთებული და გასაკეთებელი გასასვლელები, აგრეთვე ყველა დანაღმული არეებისათვის ნიშნების შემოვლება.

3. ფინეთის სარდლობა ხუთი დღის ვადაში გადასცემს წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობას მის განკარგულებაში არსებულ სქემებს, ფორმულიარებს, საინჟინრო ბარათებს ლეგენდებიანად ყველა იმ დანაღმული არეებისა და სხვა დაბრკოლებათა შესახებ, რომლებიც მოწყობილია ხმელეთზე, მდინარეებში, ტბებზე, აგრეთვე ბალტიისა და ბარენცის ზღვებში და, გარდა ამისა, ცნობებს რეკომენდებული კურსებისა და ფარვატერების შესახებ და ამ კურსებითა და ფარვატერებით ნაოსნობის წესების შესახებ.

4. მთელ ტერიტორიაზე, ფინეთის მეწინავე ნაწილების განლაგების ხაზიდან სახელმწიფო საზღვრის ხაზამდე, დანაღმული არეების, მავთულღობურებისა და სხვა დაბრკოლებათა სრული ლიკვიდაცია, აგრეთვე ფარვატერების ტრალირება და დაბრკოლებათაგან გაწმენდა საბჭოთა ტერიტორიების მისადგომებზე სწარმოებს ფინეთის ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალებით რაც შეიძლება მოკლე ვადაში და არა უმეტეს 40 დღისა დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან.

5. ფინეთის ჯარების გაყვანა სახელმწიფო საზღვარს იქით და წითელი არმიის ჯარების წაწევა საზღვრისაკენ იწყება 1944 წლის 21 სექტემბერს დილის 9 საათზე ერთსა და იმავე დროს ფრონტის მთელ ხაზზე.

ფინეთის ჯარების გაყვანა სწარმოებს ყოველდღიური გადასვლებით არანაკლებ 15 კილომეტრისა დღეღამეში, ამასთან წითელი არმიის ჯარების წაწევა სწარმოებს იმ ვარაუდით, რომ ფინეთის ჯარების ზურგის ნაწილებსა და წითელი არმიის მეწინავე ნაწილებს შუა იყოს 15 კილომეტრი მანძილი.

6. ზემოაღნიშნული მე-5 პუნქტის შესაბამისად, წესდება სახელმწიფო საზღვრის ხაზს იქით ცალკეულ უბნებზე ფინეთის ჯარების გადაყვანის შემდეგი ვადები:

ვუოკინსალმის, რიახიმიაკის უბანზე — 1 ოქტომბერი,
რიახიმიაკის, მდინარე კოიტა-იოკის უბანზე — 3 ოქტომბერი,
მდინარე კოიტა-იოკის, კორპისელკიას უბანზე — 24 სექტემბერი,
კორპისელკიას, პიუხია-იარვის ტბის უბანზე — 28 სექტემბერი,
პიუხია-იარვის, კოიტსანლახტის უბანზე — 26 სექტემბერი,
კოიტსანლახტის, სადგურ ენსოს უბანზე — 28 სექტემბერი,
სადგურ ენსოს, ვიროლახტის უბანზე — 24 სექტემბერი.

ფინეთის მიმავალ ჯარებს თან მიაქვთ მხოლოდ ხელით და ტრანსპორტით წასაღები მარაგი საომარი მასალისა, სურსათისა, ფურაჟისა და საწვავ-საცხები მასალისა. მთელი დანარჩენი მარაგი დატოვებული იქნება ადგილზე და გადაეცემა წითელი არმიის სარდლობას.

7. ფინეთის სამხედრო სარდლობა მოვალეა იმ ტერიტორიებზე, რომლებიც უბრუნდება ან გადაეცემა საბჭოთა კავშირს, სრულიად დაუზიანებლად და წესიერ მდგომარეობაში გადასცეს ყველა დასახლებული პუნქტი, გზები, თავდაცვითი და სამეურნეო ნაგებობანი და მათ რიცხვში ხიდები, კაშხალები, აეროდრომები, ყაზარმები, საწყობები, რკინიგზის კვანძები, სასადგურო შენობები, სამრეწველო საწარმოები, ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, ნავსადგურები და ნავმისადგომები, ტელეგრაფი, ტელეფონი, ელექტროსადგურები, კავშირგაბმულობის ხაზები და ელექტროხაზები.

ფინეთის სამხედრო სარდლობის განკარგულებით დროზე უნდა იქნას განაღმული ყველა ზემოჩამოთვლილი და გადასაცემი ობიექტები.

8. სახელმწიფო საზღვრის ხაზს იქით ფინეთის ჯარების გაყვანისას ფინეთის მთავრობა უზრუნველჰყოფს იმ ტერიტორიების მოსახლეობის პირად ხელშეუხებლობასა და საცხოვრებელი ადგილის დაცვას, რომლებსაც ფინეთის ჯარები სტოვებენ, აგრეთვე ამ მოსახლეობისათვის მთელი მისი კუთვნილი ქონებისა და საზოგადოებრივი, კოოპერატიული, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა მნიშვნელობის ქონების დაცვას.

9. ყველა საკითხს, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ამ დანართის მე-7 პუნქტში აღნიშნული ობიექტების ფინეთის მხარის მიერ გადაცემისას, გადასწყვეტენ ადგილობრივ ორივე მხარის წარმომადგენლები, რისთვისაც ორივე არმიის ჯარების მოძრაობის თვითეულ ძირითად გზაზე სარდლობა გამოჰყოფს სპეციალურ რწმუნებულებს ჯარების გადაყვანის პერიოდისათვის.

10. საბჭოთა ჯარების წაწევა სახელმწიფო საზღვრის ხაზისაკენ იმ უბნებზე, რომლებიც გერმანელთა ჯარებს უკავიათ, სწარმოებს საბჭოთა ჯარების სარდლობის განკარგულებით.

B. მე-2 მუხლის დანართი

1. ფინეთის სამხედრო სარდლობა გადასცემს მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობას ამ უკანასკნელის მიერ აღნიშნულ ვადაში მის განკარგულებაში არსებულ ყველა ცნობას გერმანიის შეიარაღებული ძალების შესახებ და სსრ კავშირისა და სხვა გაერთიანებულ ერთა წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედების გაშლის დარგში გერმანიის სამხედრო სარდლობის გეგმების შესახებ, აგრეთვე სქემებსა და რუკებს და მთელ ოპერატიულ დოკუმენტაციას, რაც ეხება გერმანიის შეიარაღებულ ძალთა საომარ მოქმედებას.

2. ფინეთის მთავრობა დაავალებს თავის სათანადო ორგანოებს რეგულარულად გადასცენ მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობას მეტეოროლოგიური ინფორმაცია.

C. მე-3 მუხლის დანართი

1. შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად, მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობა მიუთითებს ფინეთის სამხედრო სარდლობას — რომელი აეროდრომების გადაცემაა საჭირო მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის განკარგულებაში და რა მოწყობილობა უნდა დარჩეს აეროდრომებზე, აგრეთვე დაადგენს ამ აეროდრომებით სარგებლობის წესს.

ფინეთის მთავრობა უზრუნველჰყოფს, რომ საბჭოთა კავშირმა გამოიყენოს საბჭოთა კავშირიდან აღნიშნული აეროდრომების განლაგების რაიონებში გაგზავნილი ადამიანების გადასაყვანად და ტვირთების გადასაზიდავად საჭირო რკინიგზები, სანაოსნო გზები, გზატკეცილები და საჰაერო გზები.

2. გერმანიის წინააღმდეგ ომის დამთავრებამდე მოკავშირეთა სამხედრო ხომალდებსა და სავაჭრო გემებს უფლება ექნებათ ისარგებლონ ფინეთის ტერიტორიული წყლებით, ნავსადგურებით, ნავმისადგომებით და ღუზაზე სადგომებით. ფინეთის მთავრობა საჭირო დახმარებას აღმოუჩენს მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მხრივ.

D. მე-4 მუხლის დანართი

1. შეთანხმების მე-4 მუხლის შესაბამისად, ფინეთის სამხედრო სარდლობა დაუყოვნებლივ გადასცემს მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობას სრულ ინფორმაციას ფინეთის მთელი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების შემადგენლობის, შეიარაღებისა და დისლოკაციის შესახებ, აგრეთვე მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობას შეუთანხმებს ფინეთის არმიის შეთანხმებით დადგენილ ვადაში მშვიდობიანი დროის მდგომარეობაზე გადაყვანის წესს.

2. გერმანიასთან ომის პერიოდში ფინეთის ყველა სამხედრო ხომალდი, სავაჭრო გემები და თვითმფრინავები დაბრუნებულ უნდა იქნან თავიანთ ბაზებში, ნავსადგურებში, აეროდრომებზე და არ უნდა დასტოვონ ისინი, თუ სამისოდ მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობის სათანადო ნებართვა არ ექნებათ.

E. მე-5 მუხლის დანართი

1. ფინეთის მიერ გერმანიასთან და მის სატელიტებთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტად, რაც მოხსენიებულია შეთანხმების მე-5 მუხლში, იგულისხმება ფინეთის მიერ ყოველგვარი დიპლომატიური, საკონსულო და სხვა ურთიერთობის, აგრეთვე საფოსტო-სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირის გაწყვეტა გერმანიასთან და უნგრეთთან.

2. ფინეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს მანამდე, ვიდრე არ დამთავრდება ფინეთიდან გერმანიის ჯარების განდევნა, შეწყვიტოს ფინეთში მყოფი დიპლომატიური მისიებისა და საკონსულოების საფოსტო დიპლომატიური კავშირი, აგრეთვე ყოველგვარი რადიოსატელეგრაფო და სატელეგრაფო დაშიფრული მიმოწერა და სატელეფონო კავშირი საზღვარგარეთთან.

F. მე-7 მუხლის დანართი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთს შორის სახელმწიფო საზღვრის ხაზი, ფინეთის მიერ საბჭოთა კავშირისათვის პეტსამოს (პეჩენგის) ოლქის დაბრუნებასთან დაკავშირებით, შემდეგნაირად გადის:

№ 859/90 სასაზღვრო ბოძიდან (კორვატუნტური), იაური-იარვის ტბის ახლოს, სახელმწიფო საზღვრის ხაზი წესდება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით რუსეთ-ფინეთის ყოფილ საზღვარზე №№ 91, 92 და 93 სასაზღვრო ბოძებზე გავლით № 94 სასაზღვრო ბოძისაკენ, სადაც წინათ თავს იყრიდა რუსეთის, ნორვეგიისა და ფინეთის საზღვრები.

შემდეგ საზღვრის ხაზი გადის საერთო ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით რუსეთ-ნორვეგიის ყოფილი სახელმწიფო საზღვრით ვარანგერფიორდამდე. (იხ. თანდართული რუსეთის რუკა 1:500.000 მასშტაბისა).

№ 859/90 სასაზღვრო ბოძიდან (კორვატუნტური) № 94 სასაზღვრო ბოძამდე დაწესებული საზღვრის ხაზი დემარკირებული იქნება ადგილმდებარეობაზე საბჭოთა კავშირ-ფინეთის შერეული კომისიის მიერ.

კომისია დასდგამს სასაზღვრო ნიშნებს, შეადგენს ამ ხაზის დაწვრილებით აღწერილობას და გადაიტანს მას 1:25.000 მასშტაბის რუკაზე.

კომისია მუშაობას შეუდგება საბჭოთა სამხედრო სარდლობის მიერ მითითებულ ვადაში.

საზღვრის ხაზის აღწერილობა და ამ ხაზის რუკა, რომლებსაც ზემოხსენებული კომისია შეადგენს, დამტკიცებულ უნდა იქნას ორივე მთავრობის მიერ.

G. მე-8 მუხლის დანართი

1. სსრ კავშირის მიერ ფინეთისაგან იჯარით აღებული პორკალა-უდის რაიონის საზღვრის დასაწყის პუნქტს წარმოადგენს წერტილი, რომლის კოორდინატებია: განედი=59° 50′ ჩრდილოეთისა; გრძედი=24° 07′ აღმოსავლეთისა. ამ წერტილიდან საზღვრის ხაზი ჩრდილოეთისაკენ გაჰყვება 24° 07′ მერიდიანს წერტილამდე, რომლის კოორდინატებია: განედი=60° 06′,2 ჩრდილოეთისა; გრძედი=24° 07′ აღმოსავლეთისა. შემდეგ საზღვრის ხაზი გაჰყვება პირობითს მრუდე ხაზს ჩრდილოეთის მიმართულებით წერტილამდე, რომლის კოორდინატებია: განედი=60° 08′,1 ჩრდილოეთისა; გრძედი 24° 07′,6 აღმოსავლეთისა.

(დასასრული მე-4 გვ.)

დანართი

„ერთი მხრივ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებულ სამეფოსა და, მეორე მხრივ, ფინეთს შორის დროებითი ზავის შესახებ შეთანხმებისა", რომელიც ხელმოწერილ იქნა ქ. მოსკოვში 1944 წლის 19 სექტემბერს

(დასასრული)

აქედან საზღვრის ხაზი გაჰყვება პირობითს მრუდე ხაზს, ჩრდილო-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთის საერთო მიმართულებით წერტილისაკენ, რომლის კოორდინატებია: განედი=60° 10',4 ჩრდილოეთისა; გრძედი=24° 34',1 აღმოსავლეთისა. აქედან პირობითი მრუდე ხაზით ესპონ-ლახტის ყურეს გაყოლებით, შემდეგ კი კუნძულების სმუხოლმარნეს, ბიერკენის, მედვასტეს, ხეგ-ხოლმისა და სტურ-ხამნ-ხოლმის აღმოსავლეთით წერტილისაკენ, რომლის კოორდინატებია: განედი=60° 02',9 ჩრდილოეთისა; გრძედი 24° 37',7 აღმოსავლეთისა, და შემდეგ საზღვრის ხაზი გაჰყვება სამხრეთისაკენ 24° 37',7 მერიდიანს ფინეთის ტერიტორიული წყლების გარემოჯნებამდე. (იხ. შეთანხმებასთან დართული რუკა 1:100.000 მასშტაბისა).

იჯარით აღებული პორკალა-უდის რაიონის საზღვრები დემარკირებული იქნება ადგილმდებარეობაზე საბჭოთა კავშირ-ფინეთის შერეული კომისიის მიერ. კომისია დასდგამს სასაზღვრო ნიშნებს, შეადგენს ამ ხაზის დაწვრილებითს აღწერილობას და გადაიტანს მას 1:20.000 მასშტაბის ტოპოგრაფიულ რუკაზე და 1:50.000 მასშტაბის საზღვაო რუკაზე.

კომისია მუშაობას შეუდგება საბჭოთა სამხედრო-საზღვაო სარდლობის მიერ მითითებულ ვადაში.

იჯარით აღებული რაიონის საზღვრის ხაზის აღწერილობა და ამ ხაზის რუკა, რომლებსაც ზემოხსენებული კომისია შეადგენს, დამტკიცებულ უნდა იქნას ორივე მთავრობის მიერ.

2. შეთანხმების მე-8 მუხლის შესაბამისად ტერიტორია და წყლის სივრცეები პორკალა-უდის რაიონში ფინეთმა უნდა გადასცეს საბჭოთა კავშირს დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან 10 დღის განმავლობაში, საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზის მოსაწყობად სარგებლობა-მართვის იჯარის უფლებებით 50 წლის ვადით, რისთვისაც საბჭოთა კავშირი ყოველწლიურად გადაიხდის 5 მილიონ ფინურ მარკას.

3. ფინეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობს უზრუნველყოს, რომ საბჭოთა კავშირმა გამოიყენოს საბჭოთა კავშირიდან პორკალა-უდის სამხედრო-საზღვაო ბაზაში გაგზავნილი ადამიანების გადასაყვანად და ტვირთების გადასაზიდავად საჭირო რკინიგზები, სანაოსნო გზები, გზატკეცილები და საჰაერო გზები.

ფინეთის მთავრობა უფლებას მისცემს საბჭოთა კავშირს დაუბრკოლებლივ გამოიყენოს ყველა სახის კავშირგაბმულობა სსრ კავშირსა და პორკალა-უდის რაიონში იჯარით აღებულ ტერიტორიას შორის.

H. მე-11 მუხლის დანართი

დაწვრილებითი სახელწოდებანი და სახეები იმ საქონლისა, რასაც ფინეთი აწვდის საბჭოთა კავშირს შეთანხმების მე-11 მუხლის შესაბამისად, აგრეთვე ამ მიწოდების დაზუსტებული ვადები წლების მიხედვით, განსაზღვრული იქნება ორივე მთავრობის განსაკუთრებული შეთანხმებით.

შეთანხმების მე-11 მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურების გადახდისათვის ანგარიშსწორების საფუძვლად უდევს ამერიკული დოლარი მისი ოქროს პარიტეტით შეთანხმების ხელმოწერის დღისათვის, ე. ი. 35 დოლარი ერთ უნცია ოქროში.

I. მე-22 მუხლის დანართი

1. მოკავშირეთა საკონტროლო კომისია ორგანოა მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობისა, რომელსაც იგი უშუალოდ ემორჩილება.

საკონტროლო კომისია დამაკავშირებელი რგოლი იქნება მოკავშირეთა (საბჭოთა) მთავარსარდლობასა და ფინეთის მთავრობას შორის, რომელი მთავრობის მეშვეობითაც კომისია განახორციელებს ყოველგვარ ურთიერთობას ფინეთის ხელისუფლებთან.

2. საკონტროლო კომისიის მთავარი ამოცანაა თვალყური ადევნოს იმას, რომ ფინეთის მთავრობამ დროულად და ზუსტად შეასრულოს დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების მე-2, მე-3, მე-4, მე-10, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-16, მე-17, მე-18, მე-20 და 21-ე მუხლები.

3. საკონტროლო კომისიას უფლება ექნება მიიღოს ფინეთის ხელისუფალთაგან ზემოხსენებული ამოცანის შესასრულებლად მისთვის საჭირო მთელი ინფორმაცია.

4. დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების ზემოჩამოთვლილი მუხლების რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში საკონტროლო კომისია სათანადო წარდგინებით მიმართავს ფინეთის ხელისუფალთ ჯეროვანი ზომების მისაღებად.

5. საკონტროლო კომისიას შეუძლია შექმნას სპეციალური ორგანოები ან სექციები და შესაბამისად მიანდოს მათ ამა თუ იმ დავალებათა შესრულება.

გარდა ამისა, საკონტროლო კომისიას თავისი რწმუნებულების საშუალებით შეუძლია აწარმოოს საჭირო გამოკვლევანი და შეკრიბოს მისთვის აუცილებელი ინფორმაცია.

6. საკონტროლო კომისიას ადგილსამყოფელი ექნება ქ. ჰელსინკში.

7. საკონტროლო კომისიის წევრებს, აგრეთვე მის რწმუნებულებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლივ იარონ ყოველგვარ დაწესებულებებსა, საწარმოებსა და ნავსადგურებში და მიიღონ იქ მათი საქმიანობისათვის საჭირო მთელი ინფორმაცია.

8. საკონტროლო კომისია ისარგებლებს ყოველგვარი დიპლომატიური პრივილეგიებით, მათ შორის პიროვნების, ქონებისა და არქივების ხელშეუხებლობით, და უფლება ექნება ურთიერთობა დაამყაროს შიფრისა და დიპლომატიური კურიერების საშუალებით.

9. საკონტროლო კომისიას თავის განკარგულებაში ეყოლება რამდენიმე თვითმფრინავი, რომელთა გამოსაყენებლადაც ფინეთის ხელისუფალნი ყველა აუცილებელ პირობას შეუქმნიან.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

23 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

(დასასრული)

...ვლი ქვემეხი, ტყვიამფრქვევი, ავტომანქანები, საწყობები საომარი მასალითა და სხვადასხვა სამხედრო ქონებითურთ. ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში ტყვედ წამოყვანილია 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა ნაწილებმა, რომლებიც სწრაფად მიიწევენ წინ, დღეს დილით დაიკავეს გზატკეცილების მნიშვნელოვანი კვანძი ქალაქი ვილიანდი. დღის განმავლობაში დაკავებულია 700-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

* * *

ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ქალაქ ვალგის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგემ ახალი ძალები მოიშველია და არაერთგზის გადმოვიდა კონტრიერიშზე. გერმანელთა ქვეითი ჯარი, რომელსაც ტანკები და თვითმავალი ქვემეხები ეხმარებოდნენ, ცდილობდა შეებოჭა საბჭოთა ჯარების მოქმედება და აეძულებინა ისინი თავდაცვაზე გადასულიყვნენ. ნ შენაერთის ნაწილებმა მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიში მოიგერიეს, წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ქალაქ ვალგის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და ფართო ფრონტით გადავიდნენ მდინარე სედაზე. საბჭოთა მოიერიშე ქვეგანაყოფებმა და ქვეითმა ჯარმა მიაშურეს გერმანელთა თავდაცვაში შექმნილ ნაპრალებს. ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც სწრაფად მიიწევდნენ წინ, ბრძოლით დაიკავეს მტრის თავდაცვის კვანძები რუჰიუნი და ოიუმიერიცნი, რომელთა გარნიზონებიც მოსპეს. საბჭოთა ჯარების დარტყმები იმდენად სწრაფი იყო, რომ გერმანელთა ქვეგანაყოფები მთელ რიგ ადგილებზე საჭურველს ჰყრიდნენ და ტყეებში გარბოდნენ. ერთ-ერთ გზაზე მთლიანად მოსპობილია გერმანელთა 21-ე ქვეითი დივიზიის საარტილერიო დივიზიონი. მარტო ერთმა ჩვენმა შენაერთმა მოსპო 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდო 21 საველე და 2 თვითმავალი ქვემეხი, ბევრი ნაღმსატყორცნი და ტყვიამფრქვევი.

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას აწარმოებენ, წინ წაიწიეს 30 კილომეტრით და დაიკავეს რკინიგზის [illegible]. საბჭოთა ნაწილებმა გადალახეს მდინარე გაუია. გერმანელებმა, რომლებიც თავზარდაცემულნი გაიქცნენ ქალაქიდან, მიატოვეს არა მარტო მთელი საჭურველი, არამედ დასტოვეს ჰოსპიტალი თავიანთ დაჭრილ ჯარისკაცებითა და ოფიცრებითურთ.

* * *

ქალაქ რიგის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა შეტევა განაახლეს. საბჭოთა მზვერავების გაძლიერებულმა რაზმებმა უეცრად მიიტანეს იერიში მოწინააღმდეგეზე. მზვერავებმა, რომლებიც მამაცურად და მტკიცედ მოქმედებდნენ, გერმანელები განდევნეს წინწამოწეული პოზიციებიდან და აიძულეს ისინი დაეხიათ თავდაცვის ძირითად ზოლამდე. შემდეგ დაიწყო საარტილერიო და საავიაციო მომზადება. ჩვენმა არტილერისტებმა და მფრინავებმა მიწასთან გაასწორეს გერმანელთა ბევრი სიმაგრე. იერიშზე გადავიდა საბჭოთა ქვეითი ჯარი. ბრძოლები გაიმართა მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში. გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ. მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა, რომელიც მოლოდინებსა, ტყის პირებსა და მდინარეებზე შექმნილ მრავალრიცხოვან შეიარაღებულ ზოლებს ეყრდნობა, არაერთხელ მიიტანა კონტრიერიში, მაგრამ მარცხით დამთავრდა გერმანელთა ყველა ცდა შეეჩერებინათ ჩვენი ჯარები. საბჭოთა ნაწილების დარტყმებით მტერი ზედიზედ ჰკარგავს პოზიციებს. გერმანელთა პოლკებისა და დივიზიების მეთაურები რადიოთი აშკარა ტექსტით მოუწოდებენ თავიანთ სარდლობას აღმოუჩინონ დახმარება. ხელთ ვიგდეთ ასეთი გადაცემები: „რუსებმა გაარღვიეს თავდაცვა. რეზერვები ამოწურულია, გთხოვთ მოგვაშველოთ საიერიშო ქვედანაყოფები". „მოწინააღმდეგემ გაარღვია თავდაცვა, ბრძოლაში გამყავს მესანგრეები, გთხოვთ დახმარებას". ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც ბრძოლებით მიიწევენ წინ, დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. გერმანელებს წაართვეს 5 ტანკი, 80 საველე ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 3 საწყობი საომარი მასალითა და სხვა ალაფი, წამოყვანილია ტყვეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

საზღვარგარეთ

პოლონური გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა" აკრიტიკებს პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობას

ლიუბლინი, 20 სექტემბერი (საკდეს). გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა" დღევანდელ მოწინავე სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „ლონდონში მყოფი ბატონები თათბირობენ", სწერს, რომ მაშინ, როცა პოლონელი ხალხი განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ახალ პოლონეთს აშენებს, ეგრეთწოდებული ლონდონის ემიგრანტული მთავრობა პოლიტიკურ თამაშს ეწევა.

„რა უბადრუკი რამ არის პოლონელი ხალხის გმირულ ბრძოლასა და საქმეებთან შედარებით ლონდონელი პოლიტიკოსების ჯგუფის საქმიანობა,—სწერს გაზეთი. — როცა ხალხი იარაღით ხელში საბრძოლველად გამოვიდა, ლონდონში მყოფი ბატონები თათბირობდნენ. სათათბირო კი აქვთ, მას შემდეგ რაც სოსნკოვსკის ცდამ—გაეწყობინა სანაციის მასის გადატრიალება ვარშავაში, მარცხი განიცადა, რაჩკევიჩ-ბურ-სოსნკოვსკის ხროვა გაკიცხულ იქნა უპასუხისმგებლოდ მოწყობილი აჯანყებისათვის, რომელიც სიცოცხლის ფასად დაუჯდა ბევრ უდანაშაულო მსხვერპლს. სოსნკოვსკიმ, როგორც ჩვენ უკვე ვიუწყებოდით,—ბრალი დასდო ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს იმაში, რომ მათ უღალატეს პოლონეთის ინტერესებს. ამის შემდეგ ემიგრანტული ქვაბი ლონდონში ადუღდა.

როგორც ინგლისის კარგად ინფორმირებული გაზეთები იუწყებიან, მიკოლაიჩიკი იმუქრებოდა, გადავდგებიო, თუ სოსნკოვსკი ჩამოშორებულ არ იქნაო. გამომჟღავნდა მთელი სიდამპლე, გამოაშკარავდა ურთიერთ ინტრიგები და გახრწნა ეგრეთწოდებული ლონდონის პოლონელთა მთავრობისა. კვაპინსკიმ, რომელმაც ბოლოს და ბოლოს მიატოვა პოლონეთის სოციალისტური პარტიის დროშა, გადაწყვიტა ჩამოეშორებინა მიკოლაიჩიკი და შექმნა მთავრობა ფაშისტ ბანდიტებთან — ბერეზოვსკისა და ხაინსკის მარჯვენა ხელ ბელეცკისთან ერთად. ცხადი აშკარა იყო, რაჩკევიჩი წინააღმდეგია სოსნკოვსკის ჩამოშორებისა. მიკოლაიჩიკი გადადგება, კვაპინსკი ბელეცკისთან ერთად მთავრობას შეადგენს და მაშინ, ინგლისის მთავრობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სოსნკოვსკის ჩამოაშორებენ, რჩება სანაციის დასაყრდენი კვაპინსკისა და ბელეცკის სახით. მიკოლაიჩიკი არ გადადგა. მან 1-ლ სექტემბერს წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ბევრს აშინებდა, ჯერჯერობით, სამწუხაროდ, მან ვერ მოიკრიბა სიმამაცე. გარდა ამისა, კვაპინსკის ხროვამ მოითხოვა მთელი კაბინეტის გადადგომა ვარშავაში მომხდარი ამბების გამო. კაბინეტის მეტად მღელვარე სხდომაზე პოპელმა, ბანაჩიკმა, სეიდამ, გროსფელდმა, სტანჩიკმა მკვეთრად გააკრიტიკეს სოსნკოვსკი. მათი სიტყვები მიმართული იყო რაჩკევიჩისადმი, რომელიც საქმეს აჭიანურებს და იცდის. ლონდონის ემიგრანტული მთავრობის ჭაობში ზოგი ინტრიგებს ეწევა, ზოგი სისუსტესა და მერყეობას იჩენს, ხოლო ყოველივე ამას ემჩნევა სანაციის ხელი, 1935 წლის კონსტიტუციის გავლენა. მაშინ როცა ლონდონში მყოფი ბატონები თათბირობენ და იცდიან, ჩვენი ჯარისკაცი წითელ არმიასთან ერთად ვარშავისათვის იბრძვის. აშენდება დემოკრატიის უძლეველი ძალა განთავისუფლებულ ტერიტორიაზე, მტკიცდება ხალხის ერთიანობა გამარჯვების გზაზე".

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 23 სექტემბერი (საკდეს). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ შუმადიაში იუგოსლაველთა ნაწილებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დაიკავეს ლაზარევაცი და რუდნიკი და ამრიგად შეუერთდნენ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებს, რომლებიც დასავლეთ სერბიაში მოქმედებენ. ათასობით შეიარაღებული სერბელი გლეხი, მუშა და განთავისუფლებული ქალაქების სხვა მცხოვრებნი შედიან იუგოსლავიის არმიის რიგებში. იუგოსლაველთა ნაწილებმა, რომლებიც ქალაქ ვალიევის ჩრდილო-დასავლეთით უტევენ, გაანადგურეს გერმანელთა კოლონა და უკუაგდეს იგი ჩრდილოეთისაკენ.

დასავლეთ სერბიაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები წარმატებით მიიწევენ წინ დუნაისა და მორავისაკენ. დალმაციაში დაკავებულია მტრის უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტები ნახევარკუნძულ პელეშაცზე.

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. დარასელი

ბ—659434 რედაქციის მისამართი: ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175-С